



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

18 ოქტომბერი 2023



ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**„გულის ქრონიკული შეგუბებითი უკმარისობის მართვის ძირითადი პრინციპები“ -
კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინის) და კლინიკური
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების
თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“¹ და „კ“² ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევის შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/ნ ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „გულის ქრონიკული შეგუბებითი უკმარისობის მართვის ძირითადი პრინციპები“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - დანართი №1;
- ბ) „გულის ქრონიკული შეგუბებითი უკმარისობის მართვის ძირითადი პრინციპები“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - დანართი №2.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

